ISSN 0132-6015

ნიანგი

№ 22
ნოემბერი
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ბრძოლა უცხო იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინების, ყველა იმ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ადამიანთა შეგნებასა და ყოფაქცევაში შემორჩენილ წარსულის გადმონაშთებთან, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მუშაობის ნაკლოვანებებთან, მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის დაგვიანებასთან. პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს შრომის დისციპლინის დარღვევების, დატაცებისა და მექრთამეობის, სპეკულაციისა და მუქთახორობის, ლოთობისა და ხულიგნობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობის, მლიქვნელობისა და პირმოთნეობის თანამიმდევრულ და მტკიცე აღმოფხვრას.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტიდან

ნახ. ჯ. ლოლუასი

პარტიის წევრი მოვალეა: მტკიცედ ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, რელიგიურ ცრურწმენებსა და სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უცხო სხვა შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებს;

ავითარებდეს კრიტიკას და თვითკრიტიკას, გაბედულად ამხილებდეს ნაკლოვანებებს და იღწვოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადულობის, ყოყოჩობის, თვითდამშვიდების, კუთხურობის, უწყებრიობის, თვალის ახვევის წინააღმდეგ, საკადრის პასუხს სცემდეს კრიტიკის ჩახშობის ყოველ ცდას, ილაშქრებდეს ყოველგვარი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ვნებს პარტიასა და სახელმწიფოს.

სკკპ წესდების ცვლილებების პროექტიდან

სიყალბე

წარმოიშვა და განვითარდა, რაც ადამიანმა საკუთარი აზრების შენიღბვა ისწავლა. მას შემდეგ სნეულს აწვალებს საკუთარი თავის გამჟღავნების შიში. ამიტომაც ენა აზრისა და განცდის გამოხატვის კი არა, გაყალბების საშუალება ხდება. ასე ჩნდება ყალბი სიტყვა, ყალბი საბუთი, ყალბი ცრემლი, ყალბი ღიმილი, ყალბი თანხმობა...

სნეული მთელი ცხოვრების მანძილზე ჯაშუშივით ინკოგნიტოდ ცხოვრობს (სახელსა და გვარს თუ არ მივიღებთ მხედველობაში). ამიტომაც მისი ცხოვრება დაუსრულებელ კარნავალს ჰგავს — წამდაუწუმ იცვლის ნიღბებს და ისე ეუფლება მათი მორგების ხელოვნებას, რომ საკუთარ თავსაც ვეღარ ცნობს.

პათოლოგიური ცვლილებები: სნეული კარგავს სინდისნამუსს, უწყდება შუბლის ძარღვი, უგრძელდება ენა, ხდება პირშავი, ხელმრუდე, სამუშაოზე წასვლისას ფეხები უკან რჩება, სამუშაოზე კი თვალები განზე გაურბის და წელი სწყდება...

იყენებს თვითმკურნალობის მეთოდებს: სამუშაოზე დროს კი არ ზოგავს, არამედ — საკუთარ ენერგიას...

გეგმის შესრულების მიზნით მიმართავს მიწერასა და წამატებას (ზოგჯერ აღწევს კიდეც წარმატებას!).

ხელმძღვანელობს ლოზუნგით: მიზანი ამართლებს საშუალებას და აყალბებს მონაცემებს, ფაქტებს...

ბერავს ციფრებს, შტატებს, ფასებს, მიღწევებს... გარდა ამისა, აფორმებს მანქანებს, ბინებსა და აგარაკებს — ნათესავ-ახლობელ-მეგობარ-ნაცნობებზე, სამუშაოს — მკვდარ სულებზე...

ახურდავებს: სინდისს — ფულზე, ფულს — ოქროზე, ოქროს — ბრილიანტზე...

ხელქვეითებს წონასწორობას უკარგავს, მთხოვნელებს — მოთმინებას...

დრო გადის და ავადმყოფი თანდათან ემსგავსება ცხოველს: ქამელეონივით სწრაფად იცვლის ფერს, ძაღლივით აქიცინებს კუდს, კატასავით კნავის, ნიანგის ცრემლებს ღვრის...

აქვს დადებითი თვისებებიც: თავდადებულია (სამსახურში — სამუშაო მაგიდაზე), გულთბილია (საკუთარი თავისადმი), ხელგაშლილია (სახელმწიფო სახსრების მიმართ), თავაზიანია (უფროსებთან დამოკიდებულებაში), მოძრავია (როცა სამუშაოს გაურბის), განსწავლულია (კარგად იცნობს სოფიზმს და იყენებს კიდეც პრაქტიკულ საქმიანობაში).

დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან ძლიერდება: საქმეში ერევიან პროკურატურისა და მილიციის მუშაკებიც კი. ისინი ცდილობენ დააკავონ ის, ვინც თავს ვერ იკავებს და იძულებითი მკურნალობის კურსი ჩაუტარონ. ამიტომაც ყალბისმქნელი იძულებულია, უფრო შეინიღბოს, რაც უადად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ადრე სამსახურში თუ დროს კლავდა, ახლა დრო კლავს.

სიყალბით შეპყრობილი ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე კუკუმალობას თამაშობს და ბოლოს ისე ხუჭავს თვალს, რომ ვერ ხვდება, რისთვის გაახილა იგი პირველად.

ძნელია გარეგნული ნიშნებისა და გამოვლინებათა შესწავლით დაავადების დადგენა, რადგან ავადმყოფის მეტყველება, გამომეტყველება და თმის ფერიც კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

მკურნალობისთვის საჭიროა დავეუფლოთ ნიღბის ახდის ხელოვნებას, და თუ ამანაც არ უშველა, მისი აგლეჯაა საჭირო!

ალმანზორ თავაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მეათე კლასის მოსწავლეა, მესამე კლასის იურისკონსულტად ვამუშავებ და პირველ კურსზე მაინც აღარ ჩამირიცხავენ?!

ანაბანა

ანაბანა, ანაბანა,
ვის ჰყავს მამა ჩემისთანა? —
ყველა საგნის მასწავლებლად
პედაგოგი ამიყვანა.
ხუთიანი მივიღე და
დუბლიონკა მომიტანა,
ჩამაცვა და დამახურა,
ზრდასრულ მეშჩანს დამამგვანა.
ბრილიანტებს გამოურევს
საჩუქრებში ხანდახანა.
მეცხრე კლასში გადავედი,
საზღვარგარეთ წამიყვანა.
მედიდურად ვიხედები
აქეთ-იქით, განდაგანა,
გასართობად კონიაკს ვსვამ,
თან ვაბოლებ ხანდახანა.
დედაჩემის წყევლა-კრულვა
მესმის, როგორც იავნანა,
მამაჩემი ქოჩორს იგლეჯს,
თმები ნულზე დაიყვანა,
ლამის წყალში გადავარდეს,
გამოისვას ყელში დანა!..
ვერავის ვერ დაებრალებს,
მან გამზარდა ამისთანა!

ნიკოლოზ იოსებიძე

მოსამართლეთა ლმთერები

მიხეილ ისაკის ძე ჯანაშვილი დიღმის მასივში ცხოვრობდა, მაგრამ მეტ წილ დროს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების მაღაზიებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და აფთიაქებში ატარებდა. ყიდულობდა დეფიციტურ სამკურნალო პრეპარატებს, სამრეწველო საქონელს, ეგრეთ წოდებულ „ჩეკებს“, რასაც ქ. თბილისში ყიდდა სპეკულანტურ ფასებში და ღებულობდა დიდი ოდენობით მოგებას. ერთ შემთხვევაში მან მოქალაქეს 10 ამპულა „ინოზიაში“ 400 მანეთი გადაახდევინა, მეორე შემთხვევაში იმავე წამლის 20 ამპულაში — 850 მანეთი! მისი სპეკულანტური ხრიკები მილიციამ შეიტყო, ბინა გაუჩხრიკეს, სადაც აღმოაჩნდა 39 დასახელების დეფიციტური სამკურნალო პრეპარატები, დიდძალი სამრეწველო საქონელი, სასპეკულანტოდ რომ ჰქონდა გამიზნული

ამ გაქნილი სპეკულანტის სისხლის სამართლის საქმე ახლახან განიხილა კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ. მ. ი. ჯანაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლის ვადით, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით ქონების კონფისკაციით. აგრეთვე კონფისკაცია ეყო მის ორ მსუბუქ ავტომანქანას (ერთი „მერსედესია“!), რომლითაც სპეკულანტი ხან სად ამოყოფდა თავს და ხანსად. ახლა კი ციხეში ამოყო თავი!..

ზურაბ ოთარის ძე ქათამაძეს ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციით. რისთვის? ზ. ქათამაძემ ჩაიდინა სპეკულაციის მცდელობა — ქ. ცხაკაიაში შეიძინა 2240 მანეთის ღირებულების „კაზ-2107“-ის მოდელის ავტომობილის 33 საჭე (თითოეული 67 მანეთად და 90 კაპიკად ღირებული), ჩააწყო თავის მანქანა „გაზ-24-ში და ზესტაფონისკენ გასწია, სადაც ერთი ცალი საჭე 100 მანეთად უნდა გაეყიდა!.. დიდ გამორჩენას ელოდა „საჭის“ სპეკულანტი, მაგრამ ქუთაისში გზა გადაუღობეს მილიციის მუშაკებმა. სპეკულაციის მცდელობისათვის რაც დაიმსახურა, ამაზე ზემოთ მოგახსენეთ.

სპეკულანტების არ იყოს, უშრომლად და ერთბაშად გამდიდრება მოინდომა **გიორგი ოთარის ძე თურმანიძემ**. იგი დაუკავშირდა ადრე ნასამართლევ **მალხაზ ნარიმანის ძე თარიმანიშვილს**. მათ სოფელ მარტყოფში მოქ. ნ. გ. აკოფაშვილს მოპარეს მსუბუქი ავტომანქანა და თბილისში გადამალეს. შემდეგ მანქანის უკანვე დაბრუნებაში პატრონს 1700 მანეთი ააწაპნეს.

გარდაბნის სახალხო სასამართლომ გ. ო. თურმანიძეს მიუსაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით. ეს განაჩენი ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ ძალაში დატოვა.

მიხეილ ფორეს ძე ბეჟაშვილი გამყიდველად მუშაობდა გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სასურსათო მაღაზიაში. მან არც აცია, არც აცხელა და **გ. გურაშვილს** ერთბაშად მიჰყიდა ეგრეთ წოდებული „გლეხური“ კარაქი 1.080 კილოგრამის რაოდენობით, რაშიც, 3.780 მანეთის ნაცვლად, 4.112 მანეთი გადაახდევინა. რა თქმა უნდა, ასეთი სინდისის გამყიდველი დახლის მუშაკი სამართალში მისცეს. „ამავე დროს, — ნათქვამია განაჩენში, — **იგი გურაშვილს დაეხმარა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სპეკულაციის ჩადენაში, ე. ი. საქონლის შესყიდვა-გადაყიდვაში დიდი ოდენობით გამორჩენის მიღების მიზნით**“ (გურაშვილმა ვეღარ მოახერხა ჩანაფიქრის განხორციელება).

გურჯაანის სახალხო სასამართლომ მ. ფ. ბეჟაშვილს მიუსაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით

გივი გიორგის ძე თოდაძე, გურჯაანის რაიმილიციის მუშაკი, თბილისში ჩამოვიდა და უკუღმართ გზას დაადგა. რადგან შემთხვევა მიეცა, შუამავლობა გასწია 200 მანეთის ქრთამის აღებაში. ეს „ბნელი საქმე“ მალევე გამეღავნდა. გ. თოდაძე მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. თოდაძეს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ბოლო რვა წლის განმავლობაში „საქხორცკარაქვაჭრობის“ თბილისის საბითუმო გასაღების ბაზის უფროს საქონელმცოდნედ მუშაობდა **ივანე მიხეილის ძე მანუჩიშვილი**. იგი ეწეოდა ქრთამის გამოძალვას, აღებას და ქრთამის აღების მცდელობას რორგორც პირადად, ისე მასთან დანაშაულებრივად დაკავშირებულ მექრთამეობაში შუამავალ მძღოლ-ექსპედიტორ **ჭარლენ ბეროძის ძე ავთანდილიანის** მეშვეობით.

დამნაშავენი საქალაქო სასამართლოში შემდგარ პრცესზეც ამხილეს. სასამართლო კოლეგიის განაჩენით ი. მ. მანუჩიშვილს მიესაჯა 8 წლით, ხოლო კ. გ. ავთანდილიანს — 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

გიორგი შოთას ძე ჭანტურია და **კოსტა ვასილის ძე კრავეიშვილი** ხელოსნებად მუშაობდნენ ავტოტექმომსახურების დაბა კულაშის (სამტრედიის რ-ნი) ფილიალში. ისინი ერთმანეთს შორის, გარეშე პირებთან, აგრეთვე ამჟამად მოკლულ გ. ხუჭუასთან ერთად სამუშაო საათებში სისტემატურად ეწეოდნენ აზარტულ თამაშს. ერთ-ერთი თამაშის დროს ჭანტურიას მიერ ხუჭუასთან წაგებულმა თანხამ 5.500 მანეთი შეადგინა (ჭანტურიამ კრავეიშვილს მოუგო 1.000 მანეთი) სამივენი დაბრუნდნენ დაბა კულაშში, სადაც დათვრნენ და მერე „ზარის“ სათამაშოდ წავიდნენ „ჯვარცმის“ სასაფლაოზე. შემდეგ არაყის სმა გააგრძელეს ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც წაიჩხუბნენ წაგებულებმა — ჭანტურიამ და კრავეიშვილმა გადაწყვიტეს ხუჭუას მოკვლა. ამ მიზნით კრავეიშვილმა სანადირო თოფი უშოვა ჭანტურიას, რაც სოფელ პატარა ეწერის მახლობლად ბუჩქებში გადამალეს. აქ მერე დღეს კრავეიშვილმა მოტყუებით მიიყვანა ხუჭუა, რომელიც ორლულიანი თოფიდან ორჯერ (გასროლით მოკლა ჭანტურიამ. განაჩენში ნათქვამია: „**გ. შ. ჭანტურიამ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ანგარების მიზნით, წინასწარ განზრახვით მოკლა ავთანდილ გრიგოლის ძე ხუჭუა**“.

ამ საზარელი მკვლელობის საქმე გაარჩია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომლის განაჩენით გ. შ. ჭანტურიას მიესაჯა 15 წლით, ხოლო კ. ვ. კრავეიშვილს — 12 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ს. ხვამლელი

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

უსიტყვოდ

კერძომესაკუთრე

მიწასა და წყალს, ტყესა და სათიბს,
სახნავს, საძოვარს ეძახის ეზოს!..
და ერთი რწმენით ათენ-აღამებს! —
ეს ყველაფერი ჰგონია კ ე რ ძ ო!

კერძო სათბური, კერძო მამული,
ტყე, საქონელი, სახლი თუ ერდო!..
კერძო ტრაქტორიც კი მოინდომა
და ყველაფერი ჰგონია კ ე რ ძ ო!

შეიძლებოდეს — მისი იქნება
პარიკმახერი, ექიმი, თერძი!..
რადგან გაზარდეს და ჩააგონეს,
რომ ყველაფერი მისია — კ ე რ ძ ო!

თავისას უვლის, თავს დაჰკანკალებს,
ს ა ე რ თ ო ს ა თ ვ ი ს გულგრილობს ერთობ,
რადგან ს ა ე რ თ ო სხვისი ჰგონია,
ოდენ თავისი — რაც არი კ ე რ ძ ო!

იცვალნენ დრონი! — ასეთი კაცი,
ნიანგის ცრემლით რომ იცრემლება!
სანამ, ვით კ ე რ ძ ო ს, არ შეიყვარებს
ს ა ე რ თ ო ს, მანამ არ ეშველება!..

ზოთა ხოდაშნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული მარკეტინგი

სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის რესტორან „**სოხუმის**“ ოფიციანტმა **ო. ს. აკერმანმა** მომხმარებელს, ანგარიშის წარუდგენლად, 98 მანეთი გადაახდევინა, ნაცვლად 82 მანეთისა და 97 კაპიკისა. ამრიგად, თვალის დაუხამხამებლად, 15 მანეთზე მეტი ჩაიჯიბა!..

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო! — გაიფიქრა ამავე ტრესტის რესტორან „**ამზას**“ ოფიციანტმა **მ. ი. სარქისიანმა** და მომხმარებელი 13 მანეთი და 45 კაპიკით მოატყუა, ამავე დროს მას შემოწმებისას 40 მანეთი და 42 კაპიკის დანაკლისიც აღმოაჩნდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამიტომ მოაქვთ თავიანთი თავი მამა აბრამის ბატკნებად მუშათა გაერთიანებული № 1 **სასადილოს ფინური სამზარეულოს** მებუფეტე **გ. ვ. სოტნიკოვას**, რომელმაც ერთ-ერთ მომხმარებელს 2 მანეთი და 15 კაპიკი ზედმეტი გადაახდევინა (გ. სოტნიკოვას არ ეს მიაჩნია „ქვეყნის დაქცევად“, რომ ბუფეტში 20 კგ უფაქტურო სოსისი შეიტანა და დაუბრკოლებლივ გაასაღა), რესტორან „**ნარმაას**“ ოფიციანტ **რ. მ. აჯბას**, რომელმაც მომხმარებელს 2 მანეთი და 38 კაპიკი წაჰგლიჯა, ხოლო 17 მანეთი და 55 კაპიკი ზედმეტი აღმოაჩნდა, **№ 3 სასადილოს ფილიალის სამწვადის მებუფეტე, დ. უგრეხელიძეს**, რომელმაც პროდუქციის გაცემისას მომხმარებელს 2 მანეთი და 73 კაპიკი ზედმეტი უანგარიშა.

მომხმარებლის მოტყუების თავისებური რეკორდი დაამყარა **გულრიფშის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხე-ტყის დამუშავებისა და რკინის ნაკეთობათა საამქროს უფროსმა ნ. გ. ქობალიამ**. აღნიშნული საამქრო სოფელ ბაღმარანში მდებარეობს. ეტყობა ,ნ. გ. ქობალიამ იფიქრა, მივარდნილ ადგილას უცხო და მიზეზიანი თვალი არ შემოიხედავსო და ერთ შემთხვევაში მომხმარებელს 33 მანეთით მეტი უანგარიშა (ქვითარი №001383) მეორეში კი — 58 მანეთით (ქვითარი № 001381).

— მე სხვა თაღლითებს არა ვგავარ, ეს თანხა ჯიბეში არ ჩამიდვია! — თავს იმართლებს ნ. ქობალია.

კარგი არგუმენტია, მე და ჩემმა ღმერთმა!..

ნოდარ ხუნდაძე

„ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი აფხაზეთის ასსრ-ში.

— რამ შეგაყვარა ეს მგლები ასე?

— ცეხის გახსნას ვაპირებ და მინდა, ზოგიერთი რამ ამათგანაც ვისწავლო!

ფრაზები

● **ქართამად** ყველაფრის გამოყენება შეიძლება, გარდა ცოდნისა.

● **მექართამეს** ქართამად ქათამი მისცეს და — ამას მე როგორ მოვუარო, რატომ საკენკიც არ მომიტანეთო?

● **ოფიციანტმა** ჩაიცინა: მიყვარს კომბინატორები, ტყავი რომ გააძრო, ხმას არ ამოიღებენო.

● **საბოუხაროა**, მაგრამ ფაქტია: ზოგჯერ სკოლებიც უშვებენ უხარისხო პროდუქციას.

ელგუჯა ჯანელიძე
(ქ. წყალტუბო)

სახალისო რითმები

თუ ქმრის ქებით ენა ლღვება,
ზოგ ცოლს სულ არ ენაღვლება.

* * *

ვეღარ ითვლის ანა ბეჭდებს,
ქმარი — თითის ანაბეჭდებს.

* * *

ვადიქცევა ასად რიმა
და იშოვის „ასატრინას“.

* * *

აგარაკზე ანა მდგმურებს
ბინის ქირით ანადგურებს.

* * *

როცა საქმროს თამარს უქებს,
ის სთხოვს „ვოლგის“ თამასუქებს.

* * *

ასმევს არაყს საშა მათეს —
ქსელს უმზადებს საშამათეს.

* * *

პოეზიად მათ ეთვლებათ
ლექსის რითმის გათეთრება.

* * *

ლექსებს წერდა ურითმოსებრს
და სკდებოდა შურით მოსე.

* * *

ველზე იღებს კომბლე სურათს
ცხვრებთან, მგლებთან
კომპლექსურად.

* * *

სტუმარს როგორ სითხეს ასმევ?
არც წყალსა ჰგავს
ეგ, არც ღვინოს.
ყურძნის წვენის წახდენისთვის
ღმერთმა უნდა შეგარცხვინოს!

გ. ცინცხალი

ინტერვიუ ალბერტ ეინშტეინთან

ᲧᲣᲠᲐᲦᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲐᲜᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ – ᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛ. ᲓᲦᲔᲜᲐᲓ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲛᲘᲢᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ.ᲩᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲔᲨᲘᲠᲘᲗ–ᲑᲐᲚᲐᲜᲓᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, რა აზრისა ხართ არაფუმ?*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: ნასვამ კაცს რა აზრი მოეთხოვება, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ მინც ᲒᲔᲫᲘᲗᲧᲝᲕᲜᲘ, რომ თვითონ სიტყვა ᲐᲠᲐᲜᲘ შეიცავს მე კითხვაზე პასუხს: ᲐᲠᲐᲜᲘ – ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ! ᲩᲕᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲜᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, მაგრამ თანამედროვენი ᲐᲠᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲠ ᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲗ, ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲨᲐᲒᲐᲠᲘ.ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ. ᲒᲣᲨᲘ–ᲮᲔᲚ–ᲙᲘᲡᲠᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲡᲐᲮᲘᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘᲐᲜ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ – ᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛ. ᲓᲦᲔᲜᲐᲓ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲛᲘᲢᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ.ᲩᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲔᲨᲘᲠᲘᲗ–ᲑᲐᲚᲐᲜᲓᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.**

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *მაᲗᲘ, რა ᲒᲔᲒᲜᲝ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲗᲣ ᲫᲘᲠᲘᲗ ᲩᲐᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲕᲘᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲐ?*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲡᲐᲛᲝᲓᲐᲛᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲐ?*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲮᲘᲜᲐᲗ ᲐᲒᲘᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲒᲘᲜᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲛᲐᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲗ: ᲐᲠᲐᲜᲘ – ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ! ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲨᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲘᲐᲜᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲡᲐᲮᲘᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘᲐᲜ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲛᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲘᲪᲘᲜᲗ, ᲨᲔᲠᲬᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲗᲣ ᲫᲘᲠᲘᲗ ᲩᲐᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲕᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲮᲘᲜᲐᲗ ᲐᲒᲘᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲛᲐᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲗ ᲐᲥᲔᲓᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲗ ᲛᲔᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲕᲘᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲮᲘᲜᲐᲗ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲗᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲔᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲛᲐᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲗ ᲐᲥᲔᲓᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲛᲐᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲗ ᲐᲥᲔᲓᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲗᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲔᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ: *ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲛᲐᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲗ ᲐᲥᲔᲓᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ.*

ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ: *ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜ

საბჭოთა-ირონიული

მუსიკა — ფსევდო

გახსოვს, როგორ შეგვძრა მაშინ
სულის ძირისძირამდი?!.
რას უკრავდნენ? — ფალიაშვილს,
ბახს, გრიგსა და ვივალდის!..
თითქოს ცოდვა შეუნდვიათ
გრძნობით, ნასათუთებით —
მოსდევს ამაყ პრელუდიას
ფიქრიანი ფუგები!..
მიმიძღოდა სიკეთისკენ,
ავკაცობას თოკავდა,
ახლაც ისევ ურჟოლით ვისმენ
ამაღლებულ ტოკატას.
ბეთჰოვენმა ამის მერე
როგორ დამიმონა და —
მზის ნოტებით გადაწერა
მთვარის თეთრი სონატა!..
როგორ გახდა თქვენი კერპი
„ქვინები“ და „კისები“,
აქეთ ჰერმაფროდიტები,
იქით საჭურისები?!.
ზიდეს, მაგრამ ვერ აზიდეს
სონგი, ტოლი დევისა —
არმსტრონგისა, ელასი და
ბილის, ჰოლიდეისა!..
წარმავალი, დღეის მოდა,
„ფარფლები“ და „კისები“!..
ჩამაქვავეთ, თუ არ ჯობდეს
ბავშვის ნაკისკისები!
გვიყეფს, როგორც ადრე ყეფდა,
დიდზე დიდი ხანია —
საქართველოს კარიბჭესთან
ისევ „ჩინგისხანია“!
რაც სულმა ვერ გაამართლა, —
გულმაც არ მიიკარა!..
გზასაყარზე ენთო სანთლად
იშხნელების გიტარა!
რაც დრომ ვერ გადათელა და
რაც არის და სულ იყო —
ვერდის „ციცინათელა“ და
წერეთლების „სულიკო“!

გენიოსი

ჩასქელებულ კისერს ახლავს
ბრტყელი კეფა, მძლავრი ტორსი!..
გენიოსებს არ ცნობს, მახლას,
თავად არის გენიოსი!
სიტყვა უჭრის, პოზაც შვენის,
ღიმი უტეხს ბაგის კიდეს,
ხან კი მზერით, ამაზრზენით,
იმზირება კვარცხლბეკიდან...
ის სვეტი ვინ აუშენა,
ვინ დაუდგა სავარძელი?
ვინ რა იცის: მეც და შენაც,
იქნებ, შევაშველეთ ხელი?!
ახლა რაღა? — უდგას ხანა
„ნიჭსავსეს“ და „აზრის ტიტანს“,
აბა, სცადეთ გამოყვანა
გენიოსის ამპლუიდან!..
გაფუვდა და გაგვილაღდა
უკვე შეფერებულ პოზით!..
ვერ გავიგე, როდის გახდა,
როგორ გახდა გენიოსი?!.

კაფიები

განთქმულს

თუმც ვერ ივარგა მამადა,
ვერც იმადა და ამადა,
აქვს, ერთის ნაცვლად, ცხრა მადა —
გახლავთ განთქმული თამადა!

მომღერალს

აქვს ისეთი ვოკალი, —
ესროლე და მოკალი!

მეცნიერს

არც პეკია, არც ბელმონდო,
გახლავთ ბონდოიე — ბონდო;
ხარისხიც აქვს, არის „დოც.“-ი,
უსრულდება სამჯერ ოცი.
ჭეშმარიტად გაგაოცებს,
როცა უმზერ ასეთ „დოც.“-ებს!
გამიკვირდა მეც იერი
ბონდოიე-მეცნიერის!..

მუსიკოსს

შეგშურდება რუსიკოსი —
არის ნაღდი მუსიკოსი,
საესტრადო ასპარეზზე
მელოდიებს აღარ ეძებს,
შეიფერებს ტაშს და ბისსა,
იმედი აქვს მიმღებისა!..

ლოთს

ყანწით გადაჰკრა წითელი,
დააყოლა „რქაწითელი“!..

ინტელექტუალს

შეაწუხა დანტე, შელი,
ბოდლერი და მოემიცა,
დრო არ ჰქონდა წასაკითხად
დიდი შოთას პოემისა!..
„ჩვენი კინო სნობიზმია,
მხატვრობა კი — ხალტურაო“!
მწერლობაზე ჩაიცინებს:
„სად გვაქვს ლიტერატურაო?!“

რძალ-მულებს

ის რძლებია, რაც მულები —
„მოდნად“ შემკულ-ჩაცმულები,
აუვსები საწყავითა,
საშაქრით და საყავითა,
შეღებილი საცნო „ხნითა“,
ყბაში — რეზინსაცოხნითა!..
გარბის დილაადრიანო,
რომ უმზიროს ადრიანოს!..

ლერი ჩანტლაძე

„ნიანგის“ რედაქციაში შემოსული ქუთაისის საავტომობილო ქარხნის №1, 2, 3 და 4 საერთო საცხოვრებლებისა და კიევის ქუჩის № 6-ის მობინადრეთა კოლექტიური განცხადებები საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის თაობაზე რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, საიდანაც გვაცნობეს, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ვაჭრობისა და საზკვების №32 გაერთიანების №10 სასადილოს მოლარეები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. აღნიშნული გაერთიანების დირექციას დაევალა, მკაცრი ზომები დაწესოს № 10 სასადილოს მუშაობაზე: არ დაუშვას ძვირადღირებული ლიმონათის შემოზიდვა მუშათა სასადილოში, გაუმჯობესოს კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტი და ხარისხი, უზრუნველყოს რძითა და რძის პროდუქტებით სასადილოს ნორმალური მომარაგება.

1985 წლის ივნისში დაიწყო № 4 საერთო საცხოვრებლის კაპიტალური რემონტი, დამთავრების პროცესშია სამუშაოები მე-2 სართულზე, მთლიანად იცვლება გათბობისა და კანალიზაციის ქსელები, ელექტროგაყვანილობა.

კიევის ქუჩის №6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს შეუკეთდა სანტექნიკური კვანძები. სარემონტო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს.

—:—:—

საჩხერის რაიონის კორბოულის მესამე უბანში მცხოვრები კომკავშირელები რედაქციაში გამოგზავნილ წერილში ითხოვდნენ შომახეთის სასოფლო კლუბის კაპიტალური რემონტის ჩატარებას. ამის თაობაზე საჩხერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი გვაცნობებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია: სასოფლო კლუბი დაზიანებულია და მოითხოვს გადაუდებელ შეკეთებას. სარემონტო ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და დაწყებულია სარემონტო სამუშაოები კორბოულის საბჭოთა მეურნეობის მიერ, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წელს.

—:—:—

თბილისის ლენინის რაიონის თემქის დასახლების მე-4 მიკრორაიონის მე-3 კორპუსის მცხოვრებლები გვწერდნენ, რომ აღნიშნულ სახლში მცხოვრებ საკუთარი ავტომანქანების მფლობელებს მოწყობილი აქვთ უნებართვო შემოღობვები, რომლებსაც იყენებენ ავტოსადგომებად. მომჩივნები თხოულობენ სათანადო ზომების მიღებას.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, — გვწერს სახალხო დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომი, — თემქის დასახლების მე-4 მიკრორაიონის ათსადარბაზოიანი მე-8 კორპუსის წინ მდებარე ტერიტორია მობინადრეებს გამოყენებული აქვთ პირადი მფლობელობის ავტომანქანების სადგომებად ხოლო თითოეული სადგომის ირგვლივ სხვადასხვა სახის ლითონის მასალისაგან მოწყობილი აქვთ უნებართვო შემოღობვები ჩვენს მიერ დამუშავებულია გრაფიკი, რომლის თანახმად უნებართვო შემოღობვები მოხსნილი იქნება მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე.

ამავე რაიონის თემქის დასახლების XI მიკრორაიონის III კვარტალის № 41-ა კორპუსში მცხოვრებნი თვითნ კოლექტიურ წერილში გვწერდნენ, რომ ბინებში არა აქვთ გაზი და ელექტროენერგია. ამის შესახებ სახალხო დეპუტატთა ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა გვაცნობა: აღნიშნულ კოოპერატივს (№ 236) გააჩნია სახელმწიფო გრძელვადიანი სესხის 23481 მანეთის კომუნალური საბინაო დავალიანება. მიუხედავად არაერთგზის ოფიციალური და სიტყვიერი გაფრთხილებისა, მობინადრეები დავალიანებას არ იხდიან. იმის შესახებ, რომ მათ მიმართ გატარებული იქნებოდა სათანადო ღონისძიებები, ისინი რამდენიმე კვირით ადრე იყვნენ ინფორმირებულნი.

ამჟამად აღნიშნულ კოოპერატივს რეგულარულად აქვს როგორც გაზი, ასევე ელექტროენერგია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ უახლოეს დროში არ იქნება დაფარული დავალიანება, კოოპერატივის მიმართ მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

—:—:—

კასპის რაიონის სოფ. ხიდისყურიდან გამოგზავნილ წერილში ამ სოფლის მცხოვრებლები გულისტკივილს გამოთქვამდნენ იმის თაობაზე, რომ სოფელს არა აქვს სასმელი წყალი, ხშირად წყდება ელექტროენერგიის მიწოდება, გაზით მომარაგება შეფერხებებით ხდება, თან ითხოვდნენ დღის საშუალო სკოლის გახსნას. ამ წერილის თაობაზე სახალხო დეპუტატთა კასპის რაისაბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა: წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სასმელი წყლით მომარაგების საკითხი დაყენებულია ზემდგომი ორგანოების წინაშე. შემუშავებულია სათანადო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 1,5 მილიონ მანეთს. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია დაკმაყოფილდეს აღაიანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული სამივე სოფელი (აღაიანი, საქადაგიანო, ხიდისყური).

გატარებულია ღონისძიებები, რათა გაუჯობესდეს გაზით მომარაგება, ეურნალ-გაზეთების დროულად მიწოდება. შესაძლებლობის ფარგლებში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

სოფელ ხიდისყურში მოქმედებს ერთი რვაწლიანი სკოლა, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. აქვე შექმნილია დაუსწრებელი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი ფინანსური კლასით სადაც ყოველ სასწავლო წელს ხდება საშუალო განათლების 10-15 მოსწავლის გამოშვება, ბოლო ხუთი წლის მანძილზე ხიდისყურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის საშუალო სკოლა დაამთავრა 100-ზე მეტმა მუშა-ახალგაზრდამ. მე-12 ხუთწლედის პირველ წლისათვის გათვალისწინებულია სოფ. საქადაგიანოსა და ხიდისყურის ბაზაზე გაიხსნას ერთი დღის საშუალო სკოლა, რისთვისაც გამოყოფილია მიწის ფართი 0,2 ჰა და ჩასმულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მშენებლობის სატიტულო სიაში.

— რატომ მიჭერთ?! დავაგროვე, ხომ არ შემიჭამია?!.

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— როგორ მოხვდი ამ ბაზარში?
— შემოშვებაში — 5, დახლში — 5, სასწორში — 4...
— რას გერჩი, მოგიგროვებია გამსვლელი ქულები!
— შენ როგორღა მოხვდი?
— მე სტაჟმა მიშველა!

ნახ. ზ. ლოლაძისა

— ვინ გასცა ეს ყალბი ცნობა?
— თქვენ ხილი იგემეთ, ბატონო, მებაღეს რას კითხულობთ?!.

შესაწყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

ცოლი უიმედო მდგომარეობაში მყავდა, პროფესორმა დეფიციტური წამალი გამოუწერა და აფთიაქებში გამგზავნა. მთელი ქალაქი მოვიარე, მაგრამ გაგონილა?! — ვერსად წამალი ვერ ვიშოვე!..

ბოლოს იმედ და ილაჯგაწყვეტილი ქალაქგარეთა აფთიაქში ნაცნობ ქალს მივადექი. ყველაფერი ავუხსენი, მუხლებზე დაჩოქილი შევეხვეწე:

— მიშველეთ, მომეხმარეთ, სიმწრით შექმნილი ოჯახი მენგრევა, ბავშვები ობლად მრჩებიან, ქალი ხართ და გესმით ალბათ რაა უქალო ოჯახი!..

მან რეცეპტს მოწყენილმა დახედა, დიდ ხანს იყოყმანა და გაუბედავად მითხრა:

— ეს წამალი ნამდვილად არა გვაქვს, მაგრამ, დამიჯერეთ, გულით მინდა დაგეხმაროთ. მესმის, როგორ არ მესმის, უქალო ოჯახი ხომ ოჯახი არაა!.. ოღონდ დაფიქრდით, შემცვლელზე თუ თანახმა იქნებით!..

— მერე როგორ ფიქრობთ, შემცვლელი გამოდგება? — აჩქარებით შევეკითხე მე.

ქალი გაწითლდა და ჩაილაპარაკა: — ჩემი თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ, ვისაც გინდათ, აფთიაქის ნებისმიერ თანამშრომელს ჰკითხეთ!..

— რას ბრძანებთ, რა საჭიროა!.. მე ასეთი სულაც არა ვარ! დიდი მადლობა, ოღონდ მითხარით, გეთაყვა, ახლავე შეგიძლიათ დამეხმაროთ, თუ ცოტა ხანში შემოვიარო?

— როგორ გითხრათ, ეგ საქმე საღამომდე ვერ მოხერხდება!

— თქვენი ჭირიმე, იქნებ ცოტა უფრო ადრე მოახერხოთ?

— არა, ბატონო, არ შემიძლია!— სამსახურიდან თუნდაც ერთი-ორი საათით ადრე უნდა გავთავისუფლდე, რაც უნდა იყოს, მაინც ქალი ვარ, საპარიკმახეროში ხომ უნდა შევიდე, მერე „მანიკურშასთან" გავლაც დამჭირდება, იქ კი, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა რიგი იქნება?

ნანული ჯავახიშვილი
(გურჯაანის რაიონი)

№ 801
9.XII 1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ბავშვობა გამწარებული ჰქონდა: სულ ო რ ი, ო რ ი, ო რ ი, ო რ ი!.. ახლა მაინც გაიხაროს ბიჭმა!

დეპეშები

ძვირფასო ნიანგო! ნუ დაუშვებ, რომ სოფელი აიყაროს და ქალაქში წავიდეს საცხოვრებლად! — გვიშუამდგომლე ტელეანტენის დადგმაში!

ჩოხატაურის რ., სოფ. ზემო სურების
უტელეანტენო ტელემაყურებლები

პატივცემულო ნიანგო! ინტერნაციონალური ქუჩის წილხვედრ წყალს გველეშაპი დაეპატრონა და უწყლოდ დაგვტოვა. ან ჩამოდი და დაეჭიდე შენებურად, ან მანდედან უჩხვლიტე შენი ბასრი ჩანგალი!

დაბა სურამის ინტერნაციონალური ქუჩის
უწყლოდ დარჩენილი მობინადრენი

ძმაო ნიანგო! ოპერატიულობისათვის ტელეფონით ჯობდა დაგვერეკა, მაგრამ რაც საკონდიტრო საწარმო აგვიშენეს, სატელეფონო კაბელი დაგვიზიანდა, უგზოობის გამო ვერც აქეთ გეპატიჟებით და ჩვენს გაჭირვებას დეპეშით გატყობინებთ. კულტურის სახლის უქონლობაზე კი ცალკე გიდეპეშებთ!

ყვარლის რ-ნის სოფ. შილდის ახალგაზრდები

ჩვენო ნიანგო! გამოგვიგზავნეთ ერთი მონტიორი, განათება რომ წესრიგში მოიყვანოს! რაც შეეხება აბანოს, კლუბისა და სასმელი წყლის უქონლობას, თქვენ ნუ შეწუხდებით, ამაზე ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა იზრუნებს!

არაგვისპირელები მცხეთის რაიონიდან

საყვარელო ნიანგო! არა გვაქვს ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლით მოვაჭრე მაღაზია, სამანქანო გზა კეთილმოუწყობელია, უფროსკლასელებს (ხშირ შემთხვევაში) უავტობუსობის გამო ფეხით უწევთ 5-6 კილომეტრის გავლა სკოლამდე. გვიშველით?

ქარელის რ-ნის სოფ. ღვლევის მცხოვრებლები

დეპეშები მიიღო **ნანა ჯაჯანაშვილმა**

კერძო ბინა-მუზეუმი

თუ მოგიწევს მის ბინაში წამიერი შექროლება, —
უძვირფასეს ნივთთა დიდი მუზეუმი გეგონება
ეს ბინა... და მართლაც არის მუზეუმი მხიარული,
მუზეუმის დირექტორი არაოფიციალური
თვით ამ ბინის პატრონია (თავის სახლის დირექტორი!)
გემოვნებით მოუწყვია ამ კედლების მცირე ტონიც!..
ბრწყინავს დიდი ჭაღი ჭერში (თუ მის სხივებს
გადაურჩი!)
ძირს დივანი, ვით მდივანი ამ სერვიზის, ამ საუნჯის
დგას შუაში... კედლებს შუა (ჭკუაზე არ „შევარდები")
ნაირ-ნაირ ჭურჭლეულით გატენილი სერვანტები
შენს წინაშე აღმართულან (უცქერ, როგორც
ბარიკადებს),
ქონებისკენ გაწეული კაცი რაღას არ იკადრებს?!.
აგერ სახლის პატრონი დგას, სტუმარს ღიმით
ასაჩუქრებს,
მას ქონება ქონებს მატებს, გონებას და ჭკუას უკლებს!..
მუზეუმთან ამა ბინის მსგავსებაა ძლიერ დიდი,
თუმც აქ ბილეთს არ ყიდულობ, არც რაიმეს
გიხსნის გიდი, —
ბოლოს ამბობ: „თუნდ ამ ბინის სუნთქვა ჭკუას
შებოლავდეს,
რომელ მუზეუმში ნახავ ასე ძვირფას ექსპონატებს?!"

გიორგი შეთეკაური

სხარტულები

ციკლიდან „ღვილვას შეგონებანი"

ღვილვას ე რ თ ნაცნობს ძაღლმა უკბინა და სასწრაფოდ ცოფის საწინააღმდეგო ნემსი გაუკეთეს. ეს რომ ღვილვამ გაიგო, თქვა: — ნემსი ძაღლისთვის უნდა გაეკეთებინათო!

—:—:—:—

ერთ მ წ ე რ ა ლ ს ავტომანქანა მოპარეს. — ქურდის ქურდი ცხონდაო! — თქვა ღვილვამ (ის მწერალი რომანებს იპარავდა).

—:—:—:—

ღვილვას ე რ თ ნაცნობს ძაღლი ეყიდა და სახლში მიჰყავდა.
— ეს ძაღლი რატომ იყიდე? — ჰკითხა ღვილვამ.
— ეჰ, ჩემო კარგო, ხომ გაგიგონია, „ლამაზი ცოლის პატრონსა...."
— კი მარა, ცოლზე ლამაზი ძაღლი რად გინდა? — შეუბრუნა კითხვა ღვილვამ.

—:—:—:—

ერთმა ზ ო ნ ზ რ ო ხ ა ტიპმა ჰკითხა ღვილვას: — ერთი მითხარი, რა განსხვავებაა ექიმსა და ბეითალს შორის?
— დიდი არაფერი!.. როცა რამე აგვტკივდება, მე ექიმს უნდა მივმართო, შენ კი — ბეითალს!

ელდარ კერძევაძე

7-85

ვიქტორ პიციგოი

(რ უ მ ი ნ ე თ ი)

იუმორესკა

სამუშაო დღის დამთავრებამდე ზუსტად ერთი საათით ადრე დირექტორმა გამოიძახა და მკითხა:

— პოპესკუ, ანგარიში მზად არის?

— ჯერ არა, ამხანაგო დირექტორო! — მივუგე იმ გადაწყვეტილებით, რომ მთელი სიმართლე პირში მიმეხალა.

— მერე, რატომ არ არის მზად, ამხანაგო პოპესკუ? — მკითხა დირექტორმა შემპარავად და ისეთი გამგმირავი მზერა მტყორცნა, რომ მაშინვე გავიფიქრე: პირში სიმართლის მიხლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია-მეთქი.

და ვიდრე გვიანი არ იყო, როგორმე თავი უნდა დამეძვრინა.

— ჩემი ბრალი არ არის, ამხანაგო დირექტორო, ანგარიშის დამთავრება რომ ვერ მოვახერხე! ამხანაგ ვასილესკუს, ვისთანაც ყველა საკონტროლო ციფრი ინახება, სწორედ დღეს მოეპრიანა სამშობიარო სახლში წასვლა.

— სამშობიარო სახლში?! მერე იქ რას აკეთებს?!

— თვითონ არაფერს, მხოლოდ, აი, ცოლმა უნდა მოიმშობიაროს!.. ჰოდა, ის... ხომ გესმით... როგორც მამა...

— გასაგებია, გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ვინმეს უნდა შეეცვალა!

— ვის შეეძლო შეეცვალა, როგორც მამა, ამხანაგო დირექტორო? განა თქვენ ფიქრობთ, რომ მას, როგორც მამას, მოადგილე ჰყავს?

— სისულელეს ნუ ჩმახავთ, პოპესკუ! მე ვამბობ, რომ იგი ვინმეს უნდა შეეცვალა აქ, სამუშაოზე!

— აქ მას მარინესკუ ცვლის. მასთან ვიყავი, მინდოდა, ეს საკონტროლო ციფრები ამეღო...

— მერე?

— ქალაქში წასვლის ნებართვა აუღია, პასპორტი ჰქონია წასაღები მილიციაში ჩასაწერად.

— კარგი, მაგრამ თავის მაგიერ არავინ დაუტოვებია?

— როგორ არა, რა თქმა უნდა, დატოვა ის... აი, ლუპესკუ.

— მისთვის უნდა მიგემართათ!

— ცხადია, მივმართავდი, მაგრამ ისიც ინსტიტუტში წასულა. ხომ იცით, დაუსწრებელზე რომ სწავლობს. კიდევ კარგი, ისე არ წავიდა, ვიდრე შემცვლელად შტეფენესკუ არ დატოვა. მე, ბუნებრივია, მას მივმართავდი საკონტროლო ციფრებისათვის, მაგრამ ისე მომხდარა, რომ ისიც სწორედ დღეს წასულა პოლიკლინიკაში მუცლის რენტგენოსკოპიისათვის, ექიმის მიერ ჯერ კიდევ შარშან გაცემული მიმართვის საფუძველზე. წასვლის წინ გასაღები კოსტესკუსათვის გადაუცია, მაგრამ იგი ვაგზალში წასულა ბილეთზე, რადგან ზეგ საღამოს მივლინებაში მიემგზავრება. ისე გამოდის, რომ ახლა მე უნდა მოვძებნო ტომესკუ, რომელიც...

— ნურსად ნუ წახვალთ! — წამოიყვირა დირექტორმა და ღონემიხდილი სავარძელში გადაწვა. — წყალი!

სწრაფად მივაწოდე დირექტორს ჭიქით წყალი და მარტო დავტოვე.

მისაღებში მდივანმა ქალმა გესლიანად შენიშნა:

— რა უცნაურია, რომ სწორედ დღეს წავიდ-წამოვიდა ყველა. ძალზე უცნაურია.

— სულაც არ არის უცნაური, — მივუგე მე, — დღეს ყველა იმ უბრალო მიზეზით წავიდ-წამოვიდა, რომ ფეხბურთის მატჩია!

მდივან ქალს უნდოდა კიდევ რაღაც ეკითხა, მაგრამ მასთან საუბრის დრო აღარ მქონდა. საჩქაროდ ჩავიცვი პალტო, შლიაპა დავიხურე და ქუჩაში გამოვვარდი, იმის გულისათვის ფეხბურთზე ხომ არ დავაგვიანებდი?!.

თარგმნა **შოთა ამირანაშვილმა**

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 22 (1634) ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუსალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 23. 10. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 11. 85 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა №2462. უე 05640. ტირაჟი 146.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-მუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137